

ინგლისური ენის პრონომინალური სისტემით გამოხატული რეფერენციები პოლიტიკურ დისკურსში

ნინო ღონღაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფოლოლოგია, რომანული
ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

(მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მარსაგიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული.

ნინო ღონღაძე 2016 წელი

ნ. ღონღაძე

აბსტრაქტი

პოლიტიკურ დისკურსში ნაცვალსახელთა ტექსტური ფუნქციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რაც მთლიანად პოლიტიკური კონტექსტითაა განპირობებული. კერძოდ, გამოსვლებსა და ინტერვიუებში პოლიტიკოსები ხშირად ცდილობენ, ერთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის გადანაწილებას მთავრობაზე, პარტიაზე ან მთელს მოსახლეობაზე, სხვა შემთხვევაში კი ისინი თავიანთ გამოსვლებსა და ინტერვიუებში ცდილობენ მიღებული გადაწყვეტილებები მხოლოდ საკუთარ პერსონას დაუკავშირონ. ნაცვალსახლებით აღნიშნული რეფერენციის თავისთავადობა მსგვს შემთხვევებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რეფერენციის გაფართოება–დავიწროების კომუნიკაციური სტრატეგიები, რომლის ანალიზიც მოცემულ ნაშრომში განხილულია სამი პოლიტიკური ფიგურის: ბარაკ ობამას, უილიამ ჰეიგისა და ალექსანდერ ვერშბოუს გამოსვლებისა და ინტერვიუების მიხედვით.

პოლიტიკისადმი დიდი ინტერესი მსოფლ იოს მასშტაბით პოლიტიკოსს სხვადასხვა გამოწვევების წინაშე აყენებს, როგორიცაა მაგ. შეინარჩუნოს და გაზარდოს მხარდამჭერთა რიგები, იყოს ყოველთვის საინტერესო ორატორი, გადალახოს წინაღობები და სხვა. კვლევისათვის შესწავლილი ემპირიული მასალის საფუძველზე დგინდება, რომ პრონომინალური სისტემით გამოხატული რეფერენციები, რომელიც თავის მხრივ, კომუნიკაციური სტრატეგიების ორი ტიპში (ინკლუზიის გაფართოება და დავიწროება)ვლინდება, ემსახურება პოლიტიკოსის მიზანს : ნაცვალსახელის რეფერენტების გაზრდით საკითხში მეტი ხალხი ჩართოს, რათა საკუთარი გადაწყვეტილებები ხალხზე ორიენტირებულად და მათ საკეთილდღეოდ წარმოაჩინოს და/ან საკითხში მეტი ადამიანების ჩართვით მიღებული გადაწყვეტილებებზე აღებული პასუხისმგებლობა გააფართოვოს. რიგ შემთხვევაში ამგვარი სტრატეგია პოლიტიკოსს საშუალებას აძლევს თავი არიდოს

პასუხისმგებლობას და გადაწყვეტილება საკუთარ გუნდზე გადაანაწილოს , და ამავე დროს მისი საკუთარი მთავრობა ერთ შეკრულ გუნდად წარმოაჩინოს.

ნაშრომისათვის ჩატარებული კვლევა ცხადყოფს,რომ პრონომინალური სისტემის მოქნილობა და სხვადასხვა კომუნიკაციური სტრატეგიები პოლიტიკოსის ხელში სიტუაციაში ლავირებისა და სხვადასხვა მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

ძირითადი სამიზნო სიტყვები: პრონომინალური სისტემა, ნაცვალსახელთა რეფერენციები, პოლიტიკური დისკურსი.

Abstract

Textual function of pronouns is of major importance in political discourse, which is determined by the political context. Politicians often try, in one case, deflecting/expanding their responsibility on the government, their party or on the people; in another case, they're trying to relate made decisions only to their "selves". Referential domains of pronouns is very important in this case. In this way the communicative strategies of over-inclusion and under-inclusion is important. The context of this study is an analysis of speeches and interviews of the three politicians: Barack Obama, William Hague and Alexander Vershbow, within the frame of over-inclusion and under-inclusion.

Increased interest to the politics worldwide poses different kinds of challenges to politicians. Such as, for ex. maintain and increase the number of their supporters, being interesting, overcome obstacles etc. The research made for this study shows that the aim of employing

referential domain of the pronominal system expressed by the two types of communicative strategies - over-inclusion and under-inclusion, serves the politician's aim: to involve more people in the matter by expanding the referential domains of the pronoun. And this may mean involving more people in the matter by the politician in order to represent the matter as the people-oriented, or in order to deflect his own responsibilities, or expanding responsibilities to his party or government in order to represent them (his party, the government) as one team.

The research made for this study indicates that the flexibility of the pronominal system and different communicative strategies is one of the powerful tools for the clever politician.

Key Words: pronominal system, referential domains of pronouns, political discourse.